საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030122668518620

№ 01-98/ო **13 / მარტი / 2020 წ.**

ქვეყანაში ეპიდემიოლოგიური (ეპიდემია, პანდემია, ეპიდემიური აფეთქება) ღონისძიებების დროს შესაბამის იზოლაციაში (თვითიზოლაცია/კარანტინი) მყოფ პირებზე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ საავადმყოფო ფურცლის ტოლფასი სამართლებრივი შედეგების მქონე ცნობის ფორმის დამტკიცებისა და მისი გაცემის პროცესის ორგანიზების შესახებ

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის № 473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის „ჟ“ ქვეპუნქტის, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ“ და „ო“ ქვეპუნქტების შესაბამისად და „დროებითი შრომისუუნარობის ექსპერტიზის ჩატარების და საავადმყოფო ფურცლის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 25 სექტემბრის N281/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის 8^1 მუხლის გათვალისწინებით, **ვბრძანებ:**

1. ქვეყანაში ეპიდემიოლოგიური (ეპიდემია, პანდემია, ეპიდემიური აფეთქება) ღონისძიებების დროს იზოლაციას (თვითიზოლაცია/კარანტინი) დაქვემდებარებულ პირებზე შესაბამისი ცნობის გაცემის მიზნით განხორციელდეს აღნიშნულ პირთა აღრიცვიანობა შემდეგი წესით:

ა) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულმა სსიპ - საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრმა, უზრუნველყოს:

ა.ა) კარანტინში მოთავსებული/მოსათავსებელი პირების აღრიცხვა N1 დანართით განსაზღვრული ფორმის შესაბამისად;

ა.ბ) შევსებული ფორმის (დანართი N1) მიწოდება სამინისტროსთვის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით, ყოველი სამუშაო დღის ბოლოს.

ბ) სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულმა სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულმა ცენტრმა, უზრუნველყოს:

ბ.ა) თვითიზოლაციაში მყოფი პირების შესახებ ინფორმაციის მოგროვება, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ - შემოსავლების სამსახურიდან და მუნიციპალური საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურებიდან მოწოდებული სიების საფუძველზე, თანდართული ფორმის (დანართი N2) შესაბამისად. ცენტრი არ არის უფლებამოსილი მოახდინოს ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შესაბამისი სამსახურებიდან მიღებული მონაცემების სისწორის შემოწმება ან რაიმე სახის კორექტირება;

ბ.ბ) მოპოვებული მონაცემების ასახვა N2 დანართის შესაბამისად და სამინისტროსთვის მიწოდება, დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით, ყოველი სამუშაო დღის ბოლოს.

გ) სამინისტროს ადმინისტრაციის საქმისწარმოების სამმართველომ, უზრუნველყოს ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტისა და „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციის მიღებისთანავე მიწოდება ადმინისტრაციის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო/საკონსულტაციო მომსახურების სამმართველოსა და პოლიტიკის დეპარტამენტის ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის სამმართველოსთვის.

2. **იზოლაციაში (თვითიზოლაცია/კარანტინი) მყოფ დასაქმებულ პირთათვის სამინისტროს მიერ საავადმყოფოს ფურცლის ტოლფასი სამართლებრივი შედეგების მქონე ცნობის (შემდგომში - ცნობა) გაცემის მიზნით:**

ა) ცნობის გამცემაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს ადმინისტრაციის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო/საკონსულტაციო მომსახურების სამმართველოს უფროსი;

ბ) დამტკიცდეს იზოლაციაში (თვითიზოლაციაში/კარანტინში) მყოფი პირის განაცხადის ფორმა თანდართული დანართი N3 შესაბამისად (განაცხადის გაკეთება შესაძლებელია ელექტრონულად -info@moh.gov.ge-ზე მომართვით, ან, მატერიალურად, იზოლაციაში მყოფი პირის წარმომადგენლის მიერ);

გ) დამტკიცდეს სამინისტროს მიერ გასაცემი ცნობის ფორმა თანდართული დანართი N4 შესაბამისად;

დ) ცნობის გაცემაზე პასუხისმგებელმა პირმა უზრუნველყოს ამ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ცნობის გაცემა, ამავე ბრძანების პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის ფარგლებში მიღებული ოფიციალური ინფორმაციის საფუძველზე;

ე) სამინისტროს ადმინისტრაციის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო/საკონსულტაციო მომსახურების სამმართველომ უზრუნველყოს ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნა, ამ ბრძანების პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის ფარგლებში მიღებული ოფიციალური ინფორმაციის საფუძველზე.

მინისტრი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ეკატერინე ტიკარაძე